# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**

თბილისი, რუსთაველის პრ. ასპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.

სამისამართო დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**

განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.

**სამგლოვიარო** განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**

გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე

ოთხშაბათი, ენკენისთვის 15. 1920 წ. № 100

ფასი 10 მანეთი



## ეროვნულ-დემოკრატიული

### ✕✕ პარტიის მთავარი კომიტეტი ✕✕

გადასახლებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—11 და საღამოს 7—9 საათამდე.

---

## გაზ. „საქართველოს" კონტორა

ამით აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ გაზეთი თვიურად ღირს 300 მან. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს შემოტანილი და ხვედრ ფულს დროზე არ გადაიხდის, გაზეთის გზავნა მოესპობათ.

---

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ.

## „ახალ სხივზე"

გაზეთი გამოდის **გრიგოლ გიორგაძის** რედაქტორობით, ღირს თვეში 20 მან. ფული უნდა გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, პეტრე დიდის ქუჩა „ახალსხივს" 6—3

---

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსებული

## პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები

**ალ. მ. საათაშვილისა**

**(წელიწადი მეოთხე)**

ყველა საგნები სპეციალურად ქართულ ენაზეა. პირობის გაგება შეიძლება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—6 საათამდე. ტფილისი, დუშეთის ქუჩა, სახლი № 9. წყნეთის ქუჩასთან ახლოს, ტრამვ. №№ 5 და 9. 2—3128—4

---

## ყურადღება

სასწრაფოდ მზადდება სურათები ქართველ და უცხოელ საზოგადო მოღვაწეებისა: მარქსი, ლასალი, ბებელი, ენგელსი, ჟორესი, ლიბკნეხტი, კაუცკი, ვანდერველდე და სხვათა, რომელთა ორიგინალებიც ჩვენთან ინახება. ვაფრთხილებთ ყველა იმათ, რომელნიც ჩვენ მიერ გადაღებულ სურათების ასლით ვაჭრობენ. სასახლის ქ. № 5. ქართული კლ. ეზო, მეორე სართული. 1—22—1

---

## საქართველოს რესპუბლიკის

### ერობათა კავშირის კომიტეტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1. გიორგი ზ ქარიასძე კალანდარიშვილი, 2. ანდრია დ მიტრისძე ხოფერია და 3. ნიკოლოზ ლუკასძე ლატარია კომიტეტის რწმუნებულებისა და საკომერციო აგენტების თანამდებობიდან გადაყენებულნი არიან, და არც ერთი ხელშეკრულება, ან ვალდებულება, დღეიდან მათ მიერ გაცემული, ან შესრულებული, კანონიერი არ იქნება.

ერობათა კავშირის კომიტეტი.

---

**ამ წლის ენკენისთვის 12-დან კვლავ გამოდის**

ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

## „სასოფლო გაზეთი"

**გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებანი:**

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, **სახალხო განათლება**, **სახალხო მკურნალობა**, სასოფლო ცხოვრება და სხვა...

„**სასოფლო გაზეთში**" მონაწილეობას მიიღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთის ფასი თვიურად 40 მან. თითო ცალი 10 მან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9–2 საათამდე, მისამართი რუსთაველის პროსპექ. № 25, გაზ. „საქართველო"-ს ბინაზე.

24 7 1

---

მიმდინარე წლის 1 სექტემბერიდან ტფილისის ცენტრალურ ფოსტის შენობაში (პლეხანოვის პროსპ.)

გაიხსნა

## ფოსტა-ტელეგრაფის კურსები

სადაც ამზადებენ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე მიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის მცოდნე მოქალაქე 18 წლიდან 25 წლამდე, რომელიც 15 სექტემბრამდე შემოიტანს თხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში შემდეგი მოწმობებით: 1) განათლების (არა ნაკლებ უმაღლეს პირველ დაწყების სასწავლებლის მთელი კურსისა), 2) დაბადების მეტრიკას, 3) ჯანმრთელობის (საერობო ან საქალაქო ექიმისაგან) და 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. კურსები და პრაქტიკული მეცადინეობა გაგრძელდება ერთი წელიწადი. მოწაფეებს მიეცემათ უწყების სტიპენდია თვითეულს თვეში 1000 მანეთი. მოწაფეები კურსების ღირსეულად დამთავრებისთანავე ჩაირიცხებიან სახელმწიფო სასსახურში. 3—27—1

---

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები

### თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისთვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება. 3101. 15—4

---

## ქართული დრამის დირექცია

იწვევს თანამშრომლებს

## ქალ-ვაჟებს

სამსახური ჯამაგირიანია.

გამოცდა ოთხშაბათს 2I ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ქართული დრამის თეატრის სცენაზე (ყოფილი არტისტ. საზოგადოების თეატრი) პირობების გაგება იქვე, ყოველდღე, დღის 2-ის ნახ. საათამდე, სამხატვრო ნაწილის გამგე-დირექტორთან. 3—17—2

---

## სახელმწიფო თეატრი

## ბალეტის სკოლა

იღებენ მოწაფეებს **ვაჟ და ქალთ** 9 დან 16 წლ. ჩაწერა შეიძლება თეატრის კონტორაში 11 დან 2 საათ. გამოცდა 15 სექტემბერს.

სკოლის დირექტორი **მ. ი. პერინი**

---

## სხვაგან სად! თუ არ სასადილო —

## „ცაშირ-ში"?!

(ყოფილი „ეკონომია") შტაბის ქუჩა

**პუშკინის ბაღის პირდაპირ**

ვისაუზმოთ დილ. 0-12 ს.

ვისადილოთ „ 12--6 ს.

ვივახშმოთ „ 6--12 ს.

ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები.

---

## მოითხოვეთ ყველგან

ბუნებით დაჯილდოებული-საუკეთესო ხარისხის

## კ ო ნ ი ა კ ი

**გაწმენდილი-პურის არაყი და ტკბილი სასმელები**

## დ. ი. კალანდაძისა

შეიძლება მიიღოთ ბითუმად და წვრილად თვით ქარხანაში ვაგზლის ქ. № 5


## ავი ზნე.

მთავრობა თავისას არ იშლის. იგი განაგრძობს იერიშებს კერძო პირთა ქონების წინააღმდეგ. საკმარისია უბრალო მადა რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის, რომ ჩამოგერთვას სახლი თუ სხვა უძრავი ქონება, თუნდაც ეს შენი უკანასკნელი თავშესაფარი იყოს. თანაც მოგეცემა სასაცილო საფასური, რომ ამით კიდევ უფრო საგრძნობელი იყოს ოფიციალი მოპყრობის ცინიზმი! არ გამოგვიშვია ამ ხასიათის თითქმის არც ერთი კერძო შემთხვევა, რომ „საქართველოს" ფურცლებზე არ აღგვენიშნოს. ჩვენ იმ თავითვე ვებრძვით გაძარცვის ამ წესს და ბრძოლას განვაგრძობთ, სანამ ეს უკულმართი სისტემა ჩვენში ძირიან-ფესვიანად არ აღმოიფხვრება. ვიცით, ჩვენი ქვეყანა წელში ვერ გასწორდება, სანამ ეს გაგრძელდება. ვისაც შეეძლო რისამე აშენება და შექმნა ყველამ ამაზედ ხელი აიღო. ვიცით მა-

გალითები, რომ ბევრმა დაწყებული შენობა დაანგრია და მასალად გაჰყიდა. რომელი გიჟი გააშენებს ქალაქის ქუჩას და რომელი ბრიყვი გამოგიჭიმავს ლამაზ შენობას, როდესაც არავითარი გარანტია არ აქვს, რომ მას ეს შენობა სასაცილო საფასურში არ ჩამოერთმევა და არ გადაეცემა რომელსამე კერძო ორგანიზაციას თუ ადგილობრივ თვითმართველობას! ამიტომაცაა რომ აშენებული სახლები ყველგან ინგრევიან და ახალს კი არსად არავინ აშენებს.

ეს ბოროტება ჩვენი სოციალისტების ბუნებაში ორგანიულად ჩაშენებულია და მათი გაბოროტებული ბუნებაც არყევს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურ საფუძველს, და დანგრევით ემუქრება მთელს ჩვენს პოლიტიკურ შენობას. შეუძლებელია ამას არ ხედავდეს თვალ ხილული ადამიანი, შეუძლებელია მთავრობაც ამას არ გრძნობდეს. ვიცით მაგ. რომ მთავრობას თავმჯდომარე წინააღმდეგია ამგვარი წესების, მაგრამ მისი პერსონალური წინააღმდეგობა ძალა-მოკლებული რჩება და მოქალაქეთა ,,კანონიერი'' ძარცვა შეუყენებლად სწარმოებს. ქართველი კაცი დიდის მოთმინებით არის აღჭურვილი და ჯერ-ჯერობით უდრტვინველად იტანს ამ სოციალისტურ ძალმომრეობას ოღონდ როგორმე განმტკიცდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შენობა და საბოლოოდ სამშვიდობოს გავაიწიოთ. მაგრამ გათამამებული მთავრობა, არც უცხო ქვეშევრდომთა ქონების წინაშე იხევს. ეხლა იერიში მიუტანიათ სპარსეთის მოქალაქე მელიქ-დადაევის სახლზე, რომელიც რკინისგზელთა პროფესიულ კავშირს მოსწონებია. სპარსეთის ელჩს ჩვენი მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, საერთაშორისო უფლების და ვალდებულობის საფუძველზე, დადაევის სახლის კონფისკაცია მოეხსნათ. მთავრობას ეს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია. სპარსეთის ელჩს ხელმეორედ გადაუდგამს ოფიციალი ნაბიჯი. და თუმცა ჯერ ამას პასუხი არ მოჰყოლია, მაგრამ ჩვენი მილიციონერები სახლის სასარეცხო ოთახში შეცვენილან და იქ დამდგარან და სახლი ,,ალყაშემორტყმული'' აქვთ. ეს მილიციონერები უკვე დაეპატრონენ ამ სახლს, თუმცა ბ-ნი დადაევი ნათესავებით ჯერ კიდევ იქ ცხოვრობს. როგორც ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში მოთავსებულ ცნობებიდან სჩანს, მილიციონერები ამაშფოთებელ უკმეხობას და ძალ-მომრეობას იჩენენ. მათ გაულახავთ დადაევის პატარა დისწული, იმიტომ რომ ბავშვს საკუთარი ბაღიდან ხილი და ბოსტნეულის გამოტანა ნდომებია! ასეთი ,,დერჟიმორდობაა'' გამეფებული ჩვენს რესპუბლიკაში! ,,დერჟიმორდობა'' მართებლობის ზემო სართულში, სადაც კერძო ქონებას შეწყნარება და მოქალაქობრივი უფლება არ აქვს, ,,დერჟიმორდობა'' ქვემო სართულშიაც, სადაც რესპუბლიკის მილიციონერს ბავშვის და მოზრდილის თავისუფალი ცემა შეუძლიან! ამის შემდეგ ვინ უნდა დავაჯეროთ, რომ ჩვენში მოქმედებს უფლება და არა ძალ მომრეობა! ამის შემდეგ ვინ უნდა დავაჯეროთ რომ აქ უზრუნველყოფილია კერძო კაპიტალი მისი გამოყენება და საერთოდ ეკონომიური შემოქმედება?! და რა მარტო სპარსეთის მთავრობა გრძნობს თავის თავს შეურაცყოფილად ამგვარი რეკვიზიციებით შევაწუხეთ ინგლისის და საფრანგეთის ქვეშევრდომებიც და ჩვენს დელეგაციებს ევროპაში არა ერთი პროტესტის ნოტა მოსვლიათ როგორც საფრანგეთის, ისე ინგლისის მთავრობისაგან, რომელშიაც აღნიშნავთ რომ ძნელი იქნებოდა კეთილ განწყობილების დაცვა საქართველოსთან, თუ მისი მთავრობა ამ რეკვიზიციას არ მიატოვებდა. ეტყობა მთავრობა ამას ანგარიშს არ უწევს და საყვარელ ჩამორთმევას განაგრძობს. შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს საქართველოს რესპუბლიკას სოციალისტური მთავრობას ეს ავი ზნე.

## ევროპიელი სტუმრები.

ქართველმა სოციალისტებმა ევროპიელი ამხანაგები მოიპატიჟეს. ჩვენ არ ვართ ჩვენი სტუმრების პოლიტიკური თანამოაზრენი, მაგრამ ჩვენ დღეს მათი მასპინძლები ვართ; ხოლო სტუმარ-მასპინძლობის კულტი საქართველოს ღმერთებმა შეჰქმნეს და იგი ჩვენთვის მეტად ძვირფასია.

ჩვენი სტუმრები თვალით დაინახვენ ჩვენი ერის ტრადიციის ძლიერებას სახელმწიფოს შემქნის საქმეში და აქედან წავლენ კიდევ უფრო დარწმუნებული მომხრენი ჩვენი დამოუკიდებლობისა. ევროპამ მოგვცა კულტურის წარმატების ნამდვილ მეთოდს. და ამ უკანასკნელ დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ იქ ვერ იხილავენ დანგრევის მოციქულები. ევროპის სოციალიზმი არ მიაგავს რუსეთის სოციალიზმს, კაუცკი ვანდერველდე და ლენინ-ტროცკი მუდამ მოპირდაპირე პოლუსებზე იქნებიან. ჩვენი სოციალ-დემოკრატები, რომელნიც რუსული სოციალიზმის შეგირდები არიან, ბევრ კორექტივებს შეიძენენ ევროპიულ ამხანაგებისაგან და ეს კორექტივები მეტად სასარგებლო შეიქნება ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს გასამაგრებლად.

ამ თვალსაზრისით, მომავალი სტუმრები ჩვენთვის კერძოდ კიდევ უფრო სასურველნი არიან.

ომის და რევოლიუციის შედეგებმა საქართველო დამოუკიდებელ წევრად შეიყვანეს საერთაშორისო ოჯახში, და ევროპის სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენელნი დღეს მას პირველად ესტუმრებიან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ეს პირველი დარბაზობა კეთილ შედეგის იქნება და კეთილ მოგონებად დარჩება.

სალამი სტუმრებს.

## მთავრობის თავმჯდომარის ცირკულიარი.

ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ — ში გამოქვეყნებულია მეტად მნიშვნელოვანი ცირკულიარი მთავრობის თავმჯდომარისა. ცირკულიარი მიმართულია საქართველოში არსებულ ყველა სახელმწიფო და სამუნიციპალო და საერობო დაწესებულებების უფროსებისადმი, იგივე ეხება სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს. ცირკულიარის გამოცემა გამოწვეულია იმ საშინელი არევ-დარევით, რომელიც ახასიათებს ყველა უწყების მუშაობას უკლებლივ! მთავრობის თავმჯდომარე დარწმუნებულია, „რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში საქმის წარმოება ვერ მიმდინარეობს სასურველი სისწრაფით და წესებით“ და ყველა ამ მოვლენათა თავიდან ასაცილებლად მთავრობის მეთაური ცირკულიარის შვიდ პუნქტში ნაჩვენებ ბრძანებათა ასრულებას მოითხოვს.

აღნიშნულ ცირკულიარის გამოცემა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მომენტად უნდა ჩაითვალოს. ანორმალური მდგომარეობა და უსისტემო მოქმედება რესპუბლიკის სახელმწიფო—საზოგადოებრივ აპარატისა ისეთის რელიეფობით ცხადდება ყოველ ღვთის დღეს და ისე აზიანებს მთელი ხალხის კეთილდღეობას, რომ აქამდისაც სახელმწიფო მესვეურთა ყურადღების საგანი უნდა გამხდარიყო.

ჩვენთვის ახალი არაფერია ამ ცირკულიარში: ყველა ის ურიგო მოვლენანი, რომლებზედაც მიუთითებს ბატონი თავმჯდომარე ჩვენს მიერ მრავალგზით ყოფილა შეფასებული და დაგმობილი. ჩვენ ვაფრთხილებდით მთავრობას, რომ შერყეული სახელმწიფოს მექანიზმი სიკვდილის კარამდე მიიყვანს ახალგაზრდა რესპუბლიკას და ბეჯითად მოვითხოვდით „ავგიასის თავლის“ დაუყონებლივ განწმენდას.

დღეს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს უნებებია ამ სერიოზულ გარემოებისათვის ყურადღების მიქცევა. მთავრობის თავმჯდომარე სულ მოკლე ვადას უდებს სახელმწიფო ორგანოებს შესაფერ რეორგანიზაციის შესასრულებლად და კატეგორიულად მოითხოვს მისი ბრძანების ყოველივე დეტალის ცხოვრებაში გატარებას.

ბ-ნი ნოე ჟორდანიას ცირკულიარი შეიცავს ერთს მუხლს, რომელიც კონსტიტუციური უფლების თვალსაზრისით ეჭვს იწვევს ჩვენში: ცირკულიარი მოითხოვს ერთის თვის განმავლობაში „სახელმწიფო, საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ერობებისა და ქალაქების თვითმართველობებში მინიმუმამდე შემცირდეს მოსამსახურეთა შტატები.“ არსებითად ეს დებულება ჩვენთვის უსათუოდ მისაღებია, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა შტატების დაწესება მოხდა ამფუძნებელი კრების მიერ ცალკე დეკრეტით, რომელიც უდრის კანონს. შეიძლება კანონმდებელი ორგანოს აქტის შეცვლა აღმასრულებელ ორგანოს მიერ? იურიდიულად ასეთი მოვლენა უფლებრივ სახელმწიფოში ყოვლად შეუწყნარებელია. მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებას ჩვენ ვთვლით მიზანშეწონილ აქტად, მაგრამ მისი კანონიერება მეტად საეჭვოა...

მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ ბრძანების უკანასკნელ მუხლზე, რომლის ძალითაც ქალაქებისა და ერობების თვითმართველობებს ეკრძალებათ ახალ საწარმოვო საქმეთა დაწყება მთავრობის თავმჯდომარის ნებადაურთველად! თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ ერობათა და სამუნიციპალო ორგანოების სფერო მოქმედებასა მცირეოდენის გამონაკლისით ერთობ უთავბოლო და უაზრო იყო და მათი გამოკლებით რესპუბლიკის მეურნეობა დღითი დღე ქვეითდებოდა,—არ შეიძლება სიამოვნებით არ აღინიშნოს მთავრობის თავმჯდომარის მტკიცე გადაწყვეტილება ამ უნაყოფო მუშაობის მოსასპობად!

საქართველოს სახელმწიფო მმართველობას წესიერი ხელისუფლება აკლია! ყველაფერი კეთდება ასე ვთქვად ზერელედ, უგეგმოდ, უსისტემოდ! სახელმწიფო უფლებაში შემუშავებული მეთოდების უგულებელყოფა დამახასიათებელი თვისებაა რესპუბლიკის დაწესებულებებისა უკლებლივ.

უმაღლესი მთავრობის ასეთი თუ გნებავთ მრისხანე ბრძანებები გამაჯანსაღებლად იმოქმედებენ სახელმწიფოს საერთო მექანიზმზე და შეიძლება რესპუბლიკას ააშორონ მუქთახორობისა და უთავბოლობისიში მძიმე ტვირთი, რომელიც ლოდივით აწევს ქართველ ხალხს...

## პრესსა

დაშნაკცუთიუნის ორგანო ,,ნორ აშხატავორ''ი (№129), სომეხთა სკოლების მდგომარეობის შესახებ წარსულში და აწმყოში, სწერს: ,,მეფის წესწყობილების დროს სწავლა განათლების საქმე საზოგადოდ, და მცირე ეროვნებებში კერძოდ, იმყოფებოდა მეტად უნუგეშო მდგომარეობაში. მთავრობა ეროვნული სწავლა-განათლების საქმის შესაფერხებლად და მისი ბიუროკრატიზაციის და რუსოფიკაციისადმი დასაქვემდებარებლად უფრო მეტს ენერგიას ანდომებდა, ვიდრე მოზარდი თაობის აღზრდას. კერძო თაოსნობა სწავლა-განათლების ასპარეზზე შეფერხებული იყო, ხოლო ეროვნულ კულტურული ორგანოები და მათი ხელმძღვანელები იდევნებოდენ და ოხრანკის ,,განსაკუთრებული'' ყურადღების ქვეშ იმყოფებოდენ.

და ეს გასაგებიც იყო! მეფის დერჟიმორდების მართველობას შეეძლო ეგრძნო თავის თავი უზრუნველად მხოლოდ საყოველთაო სიბნელეში და უვიცობაში.

როდესაც რუსეთის რევოლუციამ ბოლო მოუღო მუშტის და ალკოჰოლის მართველობას, მშრომელმა მასებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, დარწმუნებულნი, რომ ამის შემდეგ მაინც მიეცემათ მათ შესაძლებლობა ეზიარონ ცივილიზაციის სიკეთეს. რწმენა უფრო განმტკიცდა, როდესაც მოეწყვენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკები.

სომხის მშრომელმა მასსამ, რომლის სკოლა კერძოდ განიცდიდა განსაკუთრებულს დევნას წარსულში (მოივონეთ გოლიცინი და მამულთა ჩამორთმევის ცდა), დაბოლოს თავისუფლად იგრძნო თავისი თავი ყოველგვარ დაბრკოლებათაგან და აღტაცებით მიეცა თავისს მონაპოვარს.

სამწუხაროდ, უკანასკნელი დრო ცხადათ გვიჩვენებს, რომ საქართველოში დარჩენილი სომეხთა ნაწილებს არ აქვთ საფუძველი და უფლება ამგვარი სიხარულისათვის. თავისი სიმცირესთან შედარებით, უზომოდ დიდს, მეავე შოვინიზმს ისე ღრმად გაუდგამს ფესვები ჩვენს სინამდვილეში, რომ თითქმის სოციალ-დემოკრატიულად წოდებული მთავრობა შეუპყრია ამ სენს. სომხის სკოლა ქართულ განათლების სამინისტროსთვის არის გერი, რომლის საჭიროებას არა მარტო არ აქვს მიქცეული არავითარი ყურადღება, დღემდე არამედ იგი სხვადასხვა გვარი ექსპერიმენტების საგნად არის ქცეული.

წინააღმდეგ ეროვნული საბჭოს მიმართვებისა, სამინისტროს დღემდეც არ უნებებია რაიმე პასუხის მოცემაც კი, თუმცა მან, როგორც განათლების მინისტრმა, უნდა იცოდეს, რომ სასკოლო მეცადინეობები უნდა დაწყებულ იქნას ამ თვის 15-დან, ხოლო მეცადინეობათა დასაწყებათ საჭიროა, რომ მათ უფლებრივ—ნივთიერ მდგომარეობას ყურადღება ჰქონდეს მიქცეული.

სამინისტროს ამ საბოტაჟთან ერთად, ადგილობრივი თვითმართველობები და ერობები, სარგებლობენ რა თავიანთი მდგომარეობით, ცდილობენ ძალით დაიჭირონ სომეხთა სკოლების შენობები სხვადასხვა საჭიროებებისათვის.

და ამგვარად, ავიწროებენ რა ზევიდანაც და ქვეიდანაც, თითქოს უნდათ გაიმეორონ წარსულის უხეირო და უმგვანო ცდანი.

ჩვენ გვგონია, რომ ამ პოლიტიკას აქვს შემთხვევითი ხასიათი, რადგან გვიძნელდება დაჯერება იმისა რომ ის მთავრობა, რომელიც თავის თავს ჰთვლის სოციალისტურ მთავრობად, ურა-პატრიოტთა ზეგავლენით დაადგება ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ დევნის გზას. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ საქართველოს მთავრობა ეცდება გაიმეოროს გოლიცინის ცდა.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია მოვითმინოთ ის საბოტაჟიც, რომელსაც ამ ჟამათ აწარმოებს მთავრობა სომხის მშრომელი მასსის კულტურული მოთხოვნილების მიმართ. ჩვენ გვაქვს უფლება და მოვალეობა მთავრობას წაუკითხოთ თავის შეკავების მოწოდება და მივცეთ მას რჩევა. ხელი შეუწყოს სომეხთა სკოლის აყვავებას.

მაგრამ მოლოდინსაც და ცარიელი რჩევების მიცემასაც უნდა ჰქონდეთ თავიანთი საზღვარი ისევე სწორეთ, როგორც აქვს საზღვარი სომხის მშრომელი მასსის მოთმინებას''.

,,ნორ-აშხატოვორი'' მცირე დასვენების შემდეგ კვლავინდებურად შედგა მუქარის გზაზე! სხვანაირად ჩვენ ვერ გაგვიგია ის ახირებული კილო, რომლითაც აღბეჭდილია ზემომოყვანილი წერილი... რაშია საქმე? რა საბუთი მისცა საქართველოს მთავრობამ დაშნაკელების ვექილებს ამტკიცონ, რომ დღეს საქართველოში ისეთივე წესებია გამეფებული სომხეთის წინააღმდეგ, როგორც იყო გოლიცინის მმართველობის დროს, ხოლო არც ერთი ფაქტი არ მოჰყავს მძიმე ბრალდების დასასაბუთებლად. ფრაზების არტილერიით მგონი საჭირო უნდა იყოს სომხის ,,მშრომელი მასის'' ინტერესების დაცვა და ვერც იმ დღეს მოესწრებიან ,,აშხატოვორის'' კალმოსნები, როცა იმავე მასას მოთმინების ფიალა აღევსებათ საქართველოს წინააღმდეგ...

ამბოხებისათვის დაშნაკელების პროვოკაციის გარდა კიდევ სხვა რამ ესაჭიროება...

## ეკონომიური წერილები.

### ს ძვირე.

### ღირებულებათა ქცეულ ნივთების სიმცირე.

იმ ნივთიერებას, რომლის შემადგენელ ნაწილებათ დაყოფა ახლანდელ მეცნიერების საშუალებით მოუხერხებელია, ჰქვია ელემენტი. გროვას წინარსებულ ელემენტებისას, რომლებსაც ჩვენ გარემო გვაწვდის ჰქვია, ბუნება. ბუნებას თავის განვითარებული ნიჭით იმორჩილებს ადამიანი. დასამორჩილებლათ საჭიროა ბუნების საიდუმლოებას გაგება. იარ ღით ამ საიდუმლოების გასაგებად ადამიანი ხმარობს მეცნიერებით შექმნილ გამოსაკვლევ მეთოდებს.—მართალია, თუ საქართველოს ტერიტორიაზე არ მოიპოვება ოქრო, ჩვენ არ შეგვიძლიან მეცნიერების საშუალებით გავაჩინოთ ოქროს მადანი. სამაგიეროთ, ამ მეცნიერების საშუალებით ჩვენ შეგვიძლიან გამოვიკვლიოთ და შემდეგ დაბეჯითებით ვთქვათ ამა თუ იმ ტერიტორიაზედ მოიპოვება ოქრო თუ არა. ამ ნაირად, ნიადაგის ქვეშ მოქცეული ნივთიერება—ოქრო, ჩვენ შეგვიძლიან გავიგოთ სად არის და შემდეგ ტეხნიკური საშუალებით ის ოქრო მოვაქციოთ სახელმწიფო ბანკის სალაროებში.

შეიძლება ოქრო კიდეც იყოს საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ იმის პოვნას, გამოდნობას, გაწმენდას იმოდენი მუშაობა დასჭირდეს, რომ ციმბირში ოქროს შეძენა და ჩამოტანა უფრო ხელსაყრელი გახდეს, ვინემ აქ. გამოკვლევა ამას ჩვენ აშკარად დაგვანახებს. ამგვარ შეუძლებლობაზედ იტყვიან ხოლმე ,,ტეხნიკურად ხელმიუწვდომელიო''. კიდევ ავიღოთ მაგალითი. მდინარეებს ნილოსსა და ეფრატის მიდამოებში ბუნება უხვად იძლევა ყოველივე მოსავალს, რადგან ყოველ გაზაფხულს ეს მდინარეები ისე დიდდება, რომ გამოდის თავის კალაპოტიდგან და შემდეგ როცა ისევ კალაპოტში შედის, ბლომად სტოვებს ნიადაგის გამაპოხიერებელ ნივთიერებებს. გადიდების დროს აქ კოკის პირული წვიმა მოდის-ხშირი მიწისძვრაა, შემდეგ გრიგალი ისეთი აუტანელი სიცხე იცის, რომ ხუთს წუთში სილაში გახვეული კვერცხი სრულიად იწვება. ადამიანი აქ დაზანტებულია, სტიქიით შეშინებული და ფიქრიც არ მოსდის მას დაიმორჩილოს ეს ძალები. ის კმაყოფილდება იმით, რასაც ბუნება თვითონ მიაწოდებს. ამ მაგალითიდგან გამომდინარეობს ის, რომ მუშაობა ყველგან შესაძლო არ ყოფილა, მუშაობა დამოკიდებული ყოფილა ბუნებაზედ. გამოკვლეულია და ცნობილია, რომ მუშაობა შეიძლება ენერგიული იქ, სადაც ზომიერი ჰავაა.

რომ სხვა და სხვა ნივთები, რომელიც ბუნებაშია, ადამიანის სასარგებლოდ, სხვა და სხვა მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იქცეს, საჭიროა ცოტა თუ დიდი ძალის დახარჯვა (მუშაობა). ამ ძალას, რომელსაც მოჰყავს მოძრაობაში ნივთები ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ჰქვიან მოქმედი (სასარგებლო) ძალა. რომ ნივთი ღირებულებათ იქცეს, საჭიროა ამისთვის ამოძრავდეს სასარგებლო ძალა. რამდენად მეტად გვინდა დავაკმაყოფილოთ ადამიანის მოთხოვნილებანი, რა თქმა უნდა, იმოდენათ საჭიროა ღირებულებათა ქცეული ნივთების სიმრავლე, რაც სრულიად პირდაპირ პროპორციის კანონით დამოკიდებულია სასარგებლო ძალების ამოძრავებაზედ.

სამსონ ახ[illegible]ნი

## ემილ ვანდერველდე.

ჩვეულებრივ ცხოვრებაში ფრიად წყნარი, თავაზიანი ემილი თითქოს რუსოს ემილის გაგრძელებაა.

ვერავინ იფიქრებს, რომ ის მხოლოდ სილუეტია იმ საშინელ ცეცხლმფრქვეველ მთისა, რომელიც ნეაპოლიტენის უბეს საუკუნოებით გადმოჰყურებს.

როცა ის ადის ტრიბუნაზე, ჯერ ვერ ამჩნევთ იმ სიდიადეს, რაც თავს ადგა ორეოლად დიდ ჟან ჟორესსა. სიტყვის დაწყება მხოლოდ ვეფხის ჩასაფრებაა, ნელი მიპარვა საშინელ ნახტომის გადასავლებად.

წყნარი, მიმდორებული კილო ნელნელა მის თვალთა ელვარებს ეწყობა, სათვალეების ქვეშ ქუხილის მოლოდინში რომ ნაპერწკლებს აფრქვევს. იგი გატყობინებთ, რომ იწყება ბორგვა ვულკანისა და მალე გრგვინვასაც გაიგონებთ და...

აი, ის ბეჭში მოიხარა, ორთავე მუშტი მოიბოჯა და ისე აიზიდა, თითქოს ატლანტი ყოფილიყოს სამყაროს წამოსაკიდებლად რომ განემზადა. ყრუ გაბრძოლებაც და იწყება გრგვინვა, ყოველ სიტყვას მოსდევს აფეთქებული ქარიშხალი. ვაი მას, ვისაც ამ დროს თავს დაატყდება! ალბად ის იგრძნობს იმ საშინელებას, რასაც განიცდის ქარის მოგზაური საჰარის გულში დაბნეულს სამუმი რომ წამოეწევა. ამ მხრივ ემილი ღირსეული კომპატრიოტია მეორე ემილისა,—ვერჰარნისა, ამ უცნაურ ჯადოსან პოეტისა, რომელიც ფლანდრიის მთა და მდვიმეთ შორის ალქაჯებისგან სწავლობდა სიტყვების საოცარს მჭედლობასა.

ორათეულ წელზე მეტია უპრალო ემილი კათოლიკეთა რეაქციის ქარიშხალს ფეხშიშველი გაურბოდა, მაგრამ ორათეულ წელზევე მეტია გრძნეული სულით იგი ნამდვილ დემონად გარდაიქცა, დევნილმა მდევრელი დაიფრინა, მოაჯდა კისერზე და ცეცხლის მათრახით გაართოლა.

მე ვერ წარმომიდგენია ბელგიის განსახელება უვანდერველდოთ. რა იქნებოდა მუშათა ცხოვრება, თუ არ იქნებოდა ეს სიტყვის აქილევსი და ძლიერი ორგანიზატორი, რომელმაც მუშებს სამკვიდროდ აუშენა ათასრებელი ,,სახალხო სახლები'', ,,კოოპერატივები'' ,,თეატრები''. უმეტეს წილად, თვის ხარჯზე და მათ მუშებს ბურჟუას სახელ მოუხვეჭა სხვა ქვეყნის მუშებთან შედარებით! ან რა იქნებოდა, რა საშინელ კატასტროფით უნდა გათავებულიყო მსოფლიო ომი, თუ ტრიბუნ ვანდერველდეს ტოლედოს მახვილი არ ეშიშვლნა და ბელგელ არწივებს არ გასძღოლოდა ტევტონთა ტალღების შესაჩერებლად! მახსოვს, ნერვული ტანჯვა ბელგეთისა, ვიდრე საბედისწერო ზარბაზანი იგრიალებდა. მახსოვს შუბლ გაშლილი ჟორესი, ჰააზე და ყველა ტიტანი სოციალისტები ვანდერველდეს სამშობლო კერაში როგორ სცდილობდნენ მშვიდობიანობის ანგელოზის გამოფრენასა, მახსოვს ჟორესზე დამყარებული იმედები, მაგრამ... ჟორესი... დამბაჩამ [illegible] ზარბაზანთა ორკესტრმა გული წარტაცა და ვანდერველდე, რომელმაც იგრძნო მთელი საშიშროება მოსალოდნელი კატასტროფისა, უკუაგდებს იდეებს, ორიოდ კვირის წინ „უნივერსიტეტნოველში“ სერია ლექციებით და რეფერატებით იმპერიალიზმისა და მილიტარიზ. მის დასანახავად მომწოდებელი ტრიბუნი უეცრივ გაფითრებულ გვირგვინოსან მეფე ალბერტს მარჯვენა მხარში ამოუდგება და ყოველგან, სადაც მივიდოდა, როგორც უბადლო მილიტარისტი, თავის ძლიერი სიტყვათა ქარმხალით ხულს ჩაუდგამდა ბელგებს იმ ძლიერი შეგნებისასა, რომელთა შესახებ კეისარმა სთქვა ,,ჩემს მტრებში უსაშინელესი მტრები ისევ ბელგები არიან! თუ არა ვანდერველდეს შიშველი გული, ლიეჟი ვერ შესძლებდა გამკლავებას, ბელგეთი გადათელილი იქნებოდა, მაშასადამე, საფრანგეთის გული-პარიზიც დაკლული და... პრუსაკები მარნის ნაცვლად სენაში აბანავებდნენ ცხენებს და გაიმეორებდნენ 70. 71 წლების საშინელებას...

მაგრამ ვანდერველდე ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, არა მარტო ბელგეთის ტრიბუნია... ჩემი ურმესი მისდამი პატივისცემა სტუდენტობიდანაა, როცა იგი ახალგაზრდობის ,,სერობას'' ხელმძღვანელობას იწვევდა, და ხელმძღვანელობდა არა მარტო ბელგელ სტუდენტობის ,,სერობას'', არამედ რუსებისაც, პოლონებისას, ბულგარებისას, სერბებისას, ერთი სიტყვით, ვისაც მცირეოდენი კოლონია ჰქონდათ დაარსებული.

ქართველი სტუდენტობა მცირე ვიყავით, მაგრამ ვანდერველდემ იცოდა ქართველობა. არჩილ ჯორჯაძის ,,ლა ჟორჟი'' მასში დიდს ინტერესს იწვევდა და ევროპიულთა შორის მან პირველმა აღმოაჩინა ,,ლა ჟორჟი'' კავკასიის პლანეტაზეა და არა ოკეანის გარდაღმა მხარეს,—ამერიკაში. ამიტომ დაინტერესდა იგი ჩვენით, დაგვიახლოვდა, ამიტომვე იყო. რომ ქართველთა სადმოებს ყოველთვის დიასახლისობდა მუდამ თავაზიანი და მოსიყვარულე ქართველების მადამ ვანდერველდე...

დღეს ვანდერველდე აქაა სტუმრად. ,,ლა ჟორჟით'' ჩვენთან გაცნობილი ეხლა რეალურად გაიცნობს ამ ხალხს და დარწმუნდება, რომ ჩვენი ერი, ეს ფარაონებისა და პირამიდის მოწმე ხალხი, დიადი თავის წარსულით, ღირსია ევროპის ცივილიზაციის კონცერტში ღირსეულ წევრათ შევიდეს მრავალი თვისებური და მოსაწონი მხარეებით.

დ. კასრაძე

# ცნობები.

## გერმანული ცნობები.

### ზემო სილეზიის საკითხი.

გერმანიის პოლიტიკური წრეები მწუხარებას გამოსთქვამენ იმისგამო, რომ ანტანტამ უარყო გერმანიის წინადადება ზემო სილეზიაში ნეიტრალურ საგამომძიებლო კომისიის დანიშვნის შესახებ. გერმანიას ამით უნდა დაემტკიცებია, რომ ზემო სილეზიის საკითხის გამო მას არ ეშინია მთელი ქვეყნის სასამართლოსი. მართალია უარი არ არის გამოხატული უზრდელ ფორმაში, მაგრამ იგი კეთილმეზობლური მაინც არ არის. მეორე მხრით გერმანიის მთავრობამ ზემო სილეზიის შესახებ მოკავშირეთა მთავრობის კონფერენციას მიმართა ნოტით, რომელშიაც იგი ცხოვრების ნორმალურ პირობების აღდგენას მოითხოვდა ნოტასთან თან დართული იყო დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ პოლონეთის ტერორი მთელ წარმოებას ემუქრება, ვინაიდან მუშები პოლონელთა მუქარის გამო სამსახურიდან გასვლას ითხოვენო. გლეივიცაში მყოფმა მომრიგებელმა კომისიამ განაცხადა, რომ მწარმოებლებს საშინელ პირობებში უხდებათ, ფაბრიკა ქარხნების აღდგენა.

### გერმანია და ჟენევის კონფერენცია.

თანხმად ეხო დეპარის ცნობისა ჟენევის კონფერენცია მოკავშირეთა ერების წარმომადგენლებისაგან, შესდგება რომლებსაც გერმანიის წინადადებანი აღმადგენელ კომისიის საშვალებით წარედგინებათ. ,,დეიტშე ალგემაინე ცაიტუნგი'' ამის შესახებ სწერს: ასეთი პროცედურის მიზანი ნათელია. საფრანგეთის განზრახვა არის შემდეგი იმისა რომ მილიერანი არ არის კმაყოფილი სპაში მომხდარ კონფერენციით თუმცა გერმანიამ აქ ძლიერ ცოტა მოიგო, მაგრამ ამანაც კი უკმაყოფილება გამოიწვია საფრანგეთში, ვინაიდან მას არ ჰქონდა საშვალება ყოფილიყო მოკარნახე სპის კონფერენციაზე, და ვინაიდან უკანასკნელმა არ მიიღო ყველა ის წინადადებანი, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ გერმანიის წინააღმდეგ. საფრანგეთს ეშინია რომ საფრანგეთში მოხდება ნამდვილი მოლაპარაკება, სახელობრ ისეთი, როგორიც არა მეომარ სახელმწიფოები შორის არის ხოლმე. ჟენევაში არ განიხილავენ გერმანიის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებათ ,,დეიტშე ალგემაინე ცაიტუნგი'' დარწმუნებულია, რომ ეხო დეპარისში დაბეჭდილი წერილი არ წარმოადგენს მოკავშირეთა უკანასკნელ გადაწყვეტილებას, რომ საფრანგეთის პოლიტიკა დაემორჩილება ევროპას მოთხოვნილებასო...

## საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

### ,,ფეხეიტი'' და რუსეთის სამოქალაქო ომი.

ბერლინი. ენკენისთვის 3. ,,ფრეიხეიტი'' ეხება ვრანგელის მთავრობის მდგომარეობას საფრანგეთის მთავრობის მიერ ცნობის შემდეგ და სწერს: საფრანგეთისა და ინგლისის მუშებს მოვალეობაა აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს ყირიმში სამხედრო სურსათის გაგზავნის საქმეს. ვრანგელის დახმარება რუსეთის აგონიას გაახანგრძლივებს. რამდენად ადრე შეუწყდება ვრანგელს დახმარება და რამდენად ადრე შეწყდება რუსეთში სამოქალაქო ომი, ევროპაში იმდენად ადრე დამყარდება მშვიდობიანობა.

**ინგლისური პრესა და გენ. ვრანგელი**

**ლონდონი.** ენკენისთვის 4. ,,დეილი ტელეგრაფი'' ბეჭდავს თავისი სპეციალური კორესპოდენტის წერილს ვრანგელის ფრონტიდან. კორესპოდენტი აღნიშნავს, რომ ვრანგელის გამარჯვებას მეტად მტკიცე ხასიათი აქვს. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, ყირიმი მაინც უფლებრივ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელსაც ხანგრძლივად არსებობის დიდი შანსები აქვს. დონსა და დნეპრის შუა აზოვის ზღვის სანაპირო ადგილებში და ბოლოს კავკასიას და ამიერ კავკასიის მცხოვრებნი ძალიან მტრულად განწყობილია ბოლშევიკებისადმი. ხალხის ასეთი სულიერი განწყობილება თავის სასარგებლოდ გამოიყვანეს ვრანგელის მომხრეებმა. კორესპოდენტი ბოლოს აღნიშნავს, რომ სამხრეთ რუსეთის სამხედრო მდგომარეობა ევროპის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

**ამერიკის ექსპორტი.**

**ვაშინგტონ.** ეკენის. 4. შეერთ ბულ შტატებიდან გაუტანიათ 1919—20 წ. 3 მილიარდი 111 მილიონის დოლარის საქონელი, წინა წელს კი 7 მილიარდ 22 მილიონ დოლარის საქონელი. ამ წელს საქონლის შემოტანაც გაძლიერებულა.

**პარიზი.** ეკენის. 5 ,,ტანი'' იუწყება: სარწმუნო ცნობებით ამერიკის მთავრობის განკარგულებით ანტვერპენიდან იარაღი პოლონეთისათვის გაიგზავნაო. ბელგიის მთავრობას დეპეშა გაუგზავნია პოლონეთის მთავრობისათვის, სადაც ის პირდება პოლონეთის დახმარებას ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ინგლისის პრესა და რუსეთ პოლონეთის ომი.**

**ლონდონი.** ენკენ. 6. ინგლისის პრესა აღნიშნავს რუსეთსა და პოლონეთს შორის მოკლე დროში ზავის შეკვრის საჭიროებას. ,,დეილი მეილის'' აზრით დიდი სიგიჟე იქნება პოლონეთის შეტევის გაგრძელება იმის შემდეგ რაც პოლონეთმა თავისი ეტნოგრაფიული საზღვრები აღადგინა.

**სინდიკალისტების პროტესტი ბოლშევიკების წინააღმდეგ.**

**პარიზი.** 25 მარიამობ. საფრანგეთის პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს გამოჩენილ ფრანგ. სინდიკალისტების პროტესტს ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართულს.

,,ინფორმაციონ ფერიერ სოციალ''-ი სწერს: რუსეთის ბოლშევიზმს არ აქვს არაფერი საერთო არც სოციალიზმთან და არც სინდიკალიზმთან. მას შეუძლია იარსებოს ისეთ პირობის დიქტატურით, რომელიც ტერორს ეყრდნობიან, და რომელთაც დაქირავებული ჯარი უმაგრებს ზურგს. ჩვენ უნდა გავილაშქროთ, სწერს ლითონზე მომუშავეთა ფედერაციის შერგიდი, ამ რეაქციონულ და მილიტარისტურ მოძლვრების წინააღმდეგ, რომელმაც შექმნა ისეთივე საშინელი რეაქციონური კასტა, როგორიც შექმნა კაპიტალიზმმა.

**ბოლშევიკების მოწოდება ინგლისის მუშებს.**

**პარიზი.** 6 სექტემბერი. ლონდონში მყოფი ,,უმანიტეს'' კორესპოდენტი იტყობინება ტელეფონით, რომ ლონდონში მიღებულია საბჭოთა მთავრობის მოწოდება საფრანგეთის მუშებისადმი მიმართული. ამ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთმა იცნო რა ვრანგელი, ამით ომი გამოუცხადა რუსეთსო. ომი გამოცხადებულია უმიზეზოდ და წინასწარ მოულაპარაკებლად, თუმცა კრასინს და კამენევს არაერთხელ გამოუთქვამთ სურვილი საფრანგეთის მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყებისა. ვრანგელის აღიარებით საფრანგეთმა უარი სთქვა რუსეთთან მოლაპარაკების წარმოებაზე რითაც რუსეთის სამოქალაქო ომს ახანგრძლივებს. ამას შეუძლია მსოფლიო ომის გამოწვევა. საფრანგეთის მუშების ხელშია მთელი ქვეყნის ბედი.

**გერმანიის საგ. საქმეთა მინისტრი ბურცევის წერილის შესახებ.**

**ბერლინი.** სექტემბრის 5. გერმანიის პრესა ეხება ბურცევის მოწოდებას ბოლშევიკებთან ბრძოლის შესახებ. ამ მოწოდების პასუხი დაბეჭდა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა სიმონსმა, რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ ბურცევის მოწოდებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადების შესახებ, გერმანელები არ გამოეხმაურებიანო. თავის აზრს სიმონსი ასე ასაბუთებს: გერმანიის ახალგაზრდობა ძლიერ დაიღალა ბრძოლით და ახლა საბჭოთა რუსეთთან ომში ჩაბმა მთლად დააუძლურებს მას ამის გარდა ისტორიის მაგალითი გვაჩვენებს, რომ ფიზიკური ძალით სოციალური მოძრაობისა და რევოლიუციის ჩაქრობა შეუძლებელია. ბოლშევიზმი ისლამის მგზავსად ჰპოვებს თავის ეტნოგრაფიულ საზღვრებს. გერმანელები თავის ხასიათითა და ბუნებით, არ შეიძლება იყვნენ ბოლშევიკები. ომის შემდეგ შექმნილმა ავადმყოფურმა მდგომარეობამ ბოლშევიკურ იდეებს რამოდენიმეთ ნიადაგი შეუმზადა. ატმოსფერის გაწმენდის შემდეგ ბოლშევიზმი დიდი წინააღმდეგობას ნახავს გერმანიაში. მაგრამ ახლა თავის წმინდა მოვალეობათ მიმაჩნია რუსეთისადმი ნეიტრალიტეტის დაცვა. ,,ფოსიშე ცაიტუნგი'' არჩევს რა ამასთანავე სიმონსის წერილს მოითხოვს გერმანიის მთავრობის ოფიციალურ განმარტებას. იმის შესახებ თუ როგორი დამოკიდებულება იყო გერმანიის გენერალურ შტაბსა და ბოლშევიკურ გადატრიალების ხელმძღვანელებთა შორის.

## საქართველოში მყოფ რუსეთის მისიის ცნობები.

### ოპერატიული ცნობები

მოსკოვი 14 9 (რადიო)

**დასავლეთის ფრონტზე:**

**გროდნოს რაიონში:** ჩვენ დავიკავეთ რამოდენიმე სოფელი გროდნოსაგან დასავლეთით 18 ვერსის და სამხრეთ-დასავლეთით 35 ვერსის მანძილზედ.

**ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში:** ბრძოლა სწარმოებს ქ. კობრინის მახლობლად.

**დასავლეთ ბუგის რაიონში.** ძლიერი ბრძოლა სწარმოებს.

**სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე:**

**ლვოვის და როჰატინის რაიონში.** ძლიერი ბრძოლა სწარმოებს.

**შრომის წითელი დაფა**

**მოსკოვი** 6-9 გზათა სამართველოს მთავარმა პოლიტიკურმა განყოფილებამ შეუდგა ,,შრომის წითელი დაფის'' კრებულის გამოცემას, რომელშიც მოთავსებული იქნება იმ ამხანაგების ბიოგრაფია, რომელიც შრომის ფრონტზე მუშაობით თავი ისახელეს.

**საბჭოთა რუსეთის ცნობის პირობები.**

**პეტროგრადი** 7-9 ,,რეიტერის სააგენტოს'' ცნობით ინგლისის მთავრობის პირობებში საბჭოთა რუსეთის ცნობით შესახებ მოხსენებული იქნება შემდეგი მუხლები: 1) პოლონეთ რუსეთის ფრონტზედ დაუყონებლივ უნდა ჩამოვარდეს ზავი, 2) დაუყონებლივი გაცვლა უნდა მოხდეს სამხედრო და სამოქალაქო ტყვეებისა 3) რუსეთი ვალდებულად ხდის თავს, ინგლისის ქვეშევრდომ კერძო პირებს აუნაზღაუროს მთელი ხარჯი, რომელიც მათ რევოლიუციამ მიაყენა რუსეთში.

**ამერიკა და რუსეთი**

**რეველი** 2 9 ,,მორნინგ პოსტ'' რომის კორესპონდენტი სწერს: ,,ვაშინგტონის მთავრობის ნოტა, რომელსაც ,,მესაჟერო'' დაგვიანებულ პასუხად სთვლის იტალიის ვაშინგტონელი ელჩის შეკითხვაზედ, ამერიკის თვალსაზრისის შესახებ რუსეთის საკითხზედ, არის ნიშანი ამერიკის პოლიტიკის შეცვლისა რუსეთის მიმართ. აღსანიშნავია, საბჭოთა რეჟიმის კრიტიკა, რომელიც ნოტაშია გამოთქმული, სრულებით საწინააღმდეგოა იმ თვალსაზრისისადმი, რომელიც ვაშინგტონში არსებობდა ამ რამოდენიმე ხნის წინად. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ამერიკის წარმომადგენლები რეველში, მოლაპარაკებას აწარმოებდენ რუსეთისათვის სარკინის გზო მასალის მიწოდების შესახებ.

,,მესსაჟერო'', იხილავს რა ვაშინგტონის ნოტას ამბობს: არის ორი გზა: ან უნდა ჩამოვაგდოთ ზავი ბოლშევიკებთან, ან ისეთი ჯარი გავაგზავნოთ, რომელიც გაანადგურებდა ბოლშევიკებს.

## ინგლისი.

**ვალის გადახდა.**

ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ინგლისმა გასულ წელს გადაიხადა უმეტესი ნაწილი თავისი სესხისა, რომელიც აუღია ნეიტრალურ ქვეყნებიდან; არ არის გადახდილი ვალი მხოლოდ შეერთებული შტატებისა. მთელი სესხი ინგლისისა უდრის 86,136,000 გირ. სტერლინგს.

(,,ნორ. აზხ.'')

## ოსმალეთი.

**ნური ფაშას თვითმკვლელობა.**

სპარსეთიდან მოსულნი იტყობინებიან, რომ იქ ხმა არის გავრცელებული. ვითომ ნური ფაშას, უკანასკნელი დამარცხებისა გამო სასოწარკვეთილს, თავი მოეკლას.

(,,ნორ აზხ'').

**ხალილ ფაშა.**

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ხალილ-ფაშა მოსულა ბაქოში, იქიდან მიემგზავრება ყანახშის ფრონტზე ჯარების სარდლობის მისაღებად.

(,,ნორ. აზხ.'')

# შინაური ამბ:

## ევროპის სოციალისტები ბათომში ჩამოვიდენ.

ბათომი 14 ივლის 7 საათი (დეპეშა) ივლის 6 საათსა და 15 წამს ბათომის ნავთ სადგურში შემოვიდა გემი „ფრანც ფერდინანდი"; გემით მოვიდა ევროპის სოციალისტების დელეგაცია, რომელშიც შედიან: ემილ ვანდერველდე, კამილ ჰიუსმანსი, ტომას შოუ, მისტრის სნოუდენი, დე-ბრუკერი, რამზეი მაკდონალდი, პიერ რენოდელი, ენგელსი, ქ-ნი ვანდერველდისა, ქ-ნი ჰიუსმანსისა.

კარლო კაუტცკი ავად გახდა და რომში დარჩა; იგი ბათომისაკენ შემდეგ გემით წამოვა. დელეგაციას თან ჩამოყვა კაუტცკის მდივანი ოლბერგატი.

ბათომი. ენკენ. 14 (დეპეშით) ბათომშია დილით ადრე გაიგო ევროპის სოციალიზმის ქუჩებში. ქუჩებში გაისმის ინტერნაციონალისა და მარსელიოზის სიმღერები. ხალხი ნავთსადგურთანაა მოგროვილი. გემები და ნავთსადგური წითელი დროშებით ყვავილებით და გირლიანდებითაა მორთული.

სრულ 9 საათზე ნავთსადგურში მოვიდა მთავრობის წარმომადგენელი კ. ს. საბახტარიშვილი, ს ს, დ. პარტიის ცენ. კომ. ის. რამიშვილი, ქალაქის თავი ანჯაფარიძე, პროფესიულ კავშირის წარმომადგენლები და სხ. და პატარა გემით გაეშურენ „ფერდინანდისკენ". 15 წუთის შემდეგ მოიყვანეს მოსული სტუმრები ნავთსადგურში ისინი ჩასხდნენ მათთვის მომზადებულ ავტომობილში; ხალხი მათ ვაშას ძახილით ეგებება. მუშები სტუმრებს ყვავილებს ესროდენ. ბავშვებმა ყვავილებს თაიგულები მიართვეს. დელეგაციის გავლის დროს ისმოდა ხმები გაუმარჯოს ვანდერველდეს გაუმარჯოს მაკდონალდს გაუმარჯოს ჰიუსმანს. ქუჩები წითელ დროშებით იყო დაფარული ხალხი აივნებსა და ფანჯრებიდან მოფენილი.

დელეგაცია თბილისში დღეს დილის 9 საათზე ჩამოვა მთავრობის თავმჯდომარემ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს საბახტარაშვილისგან ცნობა მიიღო, რომ დელეგაცია თბილისში დღეს ენკენისთვის 15 დილის 9 საათზე იქნება.

## საქართველოს მუშათა დელეგაციის რუსები არ შეუშვებენ

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებმა საქართველოში, ბ-მა კიროვმა აცნობეს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია საქართველოს მუშათა დელეგაცია შეუშვას თავის ტერიტორიაზედ.

## სომხეთი.

**ოლთის ქვანახშირი.**

ყარსი, 12 ენკენისთვე (დეპეშით). ოლთის რაიონის ფანაქის ქვანახშირი გამოსცადეს სარიყამიშ—არზრუმის გზის ორთქლმავალში ინჟინრებმა ოჰონქანიანმა და კარაპეტიანმა და შედეგი მოჰყვა მშვენიერი: ნახშირს ძალიან ადვილად ეკიდება და იძლევა ხანგრძლივ ალს. მატარებელთა მიმოსვლა ხდება ნორმალურად სადგურ სარაყამიშის აღმართზე და მთიან ადგილებზე ერთ ვერსზე იხარჯება ორ ფუთამდის ქვანახირი, რაც ეთანასწორება ერთ ფუთ მაზუთს. ნახშირი ყარსში გადმოსატანად შეგროვილია. ყარსის ოლქის ყველა ძალები.ს

გუბერნატორი: ყორღანიანი.

(,,ნორ. აზხ.'')

## ევროპის სოც. დელეგაციის მოსვლისთვის.

**რკინისგზის უფროსის განკარგულება.** საქართველოს რკინისგზების საექსპლოატაციო ნაწილების უფროსმა გ. აბელიშვილმა, თანახმად რკინის გზის უფროსის განკარგულებისა, ლიადანგზე შემდეგი განკარგულება მოახდინა: ენკენისთვის 14-ს ღამის 10 საათზე განზრახულია ბათომიდან საერთაშორისო სოციალისტურ დელეგაციის გამომგზავრება საგანგებო მატარებლით.

თბილისში დაახლოებით დელეგაცია ჩამოვა ენკენისთვის 15-ს დილის 9 საათზე ყველა სადგურები უნდა შემკულ იქნენ დროშებით ხოლო სადგურები ბათომ, სამტრედია, ხაშური და თბილისი მწვანეულობითა და ყვავილებით. ამ მატარებლის მიმავლობის დროს უნდა მიღებულ იქნეს ზომები მშვიდობითა და დროთი მოძრაობის შესახებ. სადგურის უფროსნი პარადად უნდა შეუდგნენ მორიგეობას მატარებლის მოსვლის ერთი საათის წინ ხოლო თანაშემწენი გაიგზავნენ ისრებთან. მოძრაობის რევიზორები უნდა თან ახლდნენ მატარებელს. მატარებლის ბათომიდან გამოსვლა ცალკე დეპეშით გეუწყებათ აგრეთვე გეუწყებათ მისი მოძრაობის რიგი,

**ერობების შემოსვლა.** ერობათა კავშირის გამგეობამ სიღნაღის სამაზრო ერობას დეპეშით აცნობა, რომ ევროპის სოციალ. დელეგაცია პროვინციის შემოვლის დროს თელავს და წინანდალს ინახულებსო, დელეგაცია ალბათ ზოგიერთ თემებსაც ინახულებს.

**ოზურგეთის თხოვნა.** ოზურგეთის ერობის გამგეობამ ერობათა კავშირის კომიტეტს თხოვნით მიმართა იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს რათა სოციალ. დელეგაციამ ოზურგეთის მაზრაც ინახულოს.

**რკ. გზის უფროსის შეხვედრა.** რკინის გზის უფროსი ინჟ. კანდელაკი საექსპლოატაციო ნაწილის უფროს ინჟ. აბელაიშვილიან ერთათ ენკენისთვის 13-ს გაემგზავრენ ბათომს დელეგაც. შესახვედრად.

# ახალი ამბები.

### სამინისტროებში.

— **მიღების დრო.** შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი ენკენისთვის 13 თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა. მთხოვნელებს მიიღებს ოთხშაბათობით და შაბათობით დილის 12—1 საათამდე.

— **რევიზია.** გადასახადების ამკრებ სამმართველოს უფროსის ვირსალაძის განკარგულებით დაიწყო თბილისის ხარჯთ-ამკრებ საუბნო ნაწილების საქმის წარმოებათა რევიზია.

— **დამზღვევი საზოგადოება.** ფინანსთა სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ დამზღვევ საზოგადოებათა და ამხანაგობათა მოღვაწეობის განხილვას შეუდგა.

— **ახალი დირექტორ-ინსპექტორები.** განათლების სამინისტრო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ დაინიშნენ: მ. ნოდია, სენაკის სემინარიის დირექტორის თანამდებობის ასრულებლად: ნ. გეგელაშვილი ნაძალადევის შერეულ გიმნაზიის დირექტორად; ნ. გოგიტიძე თელავის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად; ფ. კაპანაძე გაგრის რეალურ სასწავლებლის დირექტორად; დ. კიკნაძე ბათომის ქალთა გიმნაზიის დირექტორად; ა. მგალობლიშვილი სოხუმის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობის ასრულებლად; ბ-ნი ტინიშვილი თელავის ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორად; კ. გეგელიძე ხაშურის ქალაქის გიმნაზიის ინსპექტორის თანამდებობის ასრულებლად.

— **გამოძიება.** ახალციხიდან დაბრუნდა ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე ქარცივაძე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ახალციხის ქალაქის გამგეობის ზოგიერთ წევრთა საქმის გამოძიება. გამოძიების მასალა შინაგან საქმეთა მინისტრს გადაეცა. აქედან სასამართლო პალატის პროკურორს გადაეცემა. ამბების გამო ქალაქის თავი იუზბაშოვი სამსახურიდგან გადადგა. ახალციხის ქალაქის საბჭომ დაადგინა: დაევალოს სარევიზიო კომისიას მოახდინოს ქალაქის საქმეთა რევიზია და გამოიძიოს ქალაქის თავისა და გამგეობის წევრთა მოქმედება.

## ვაჭრობა-მრეწველობა.

**ვალიუტის კურსის მოწესრიგება.** სავაჭრო სამრეწველო პალატამ ფინანსთა მინისტრს შუამდგომლობით მიმართა დააჩქაროს დაარსება საგანგებო ორგანოსი, რომლის მოვალეობაც ვალიუტის კურსის ფიქსაცია იქნება. შუამდგომლობა დასაბუთებულია მით, რომ უკანასკნელ დღეებში უცხოეთის ფირმები ეკითხებიან პალატას თუ როგორია ვალიუტის კურსიო. მაგრამ პალატა, თანახმად ფინანსთა სამინისტროს დადგენილებისა, მოკლებულია საშვალებას აცნობოს ფირმებს არსებული კურსი ამით კი ვაჭრობის განვითარება ბრკოლდება.

— **ცენტრობანკი ახალციხეში.** ცენტრობანკში შემოვიდა შუამდგომლობა ახალციხის რაიონის რწმუნებულისა, ახალციხეში ცენტრობანკის განყოფილების გახსნის შესახებ. ამგვარივე შუამდგომლობა აღძრა კახეთის რაიონმაც.

— **სახელმწიფო ბანკის განყოფილება ბათომში.** სახელმწიფო ბანკის საბჭომ ბანკის გამგეობასთან ერთად დაადგინა გაიხსნას ბათომში სახელმწიფო ბანკის განყოფილება. განყოფილების მმართველად დაინიშნა ივანე პურცელაძე, რომელსაც ეუწყა დაუყონებლივ ბათომს გაემგზავროს.

## ევროპის სოციალისტები საქართველოში





## კარლო კაუტცკი.

საქართველოს სტუმარი, რომელიც ევროპის სხვა სოციალისტების ლიდერებთან ერთად დღეს ესტუმრება ჩვენს დედა-ქალაქს, უდიდესი წარმომადგენელია საერთაშორისო სოციალიზმისა და მარქსიზმის ერთი მამა-მთავართაგანი.

კარლო კაუტცკი ავსტრიელ ბურჟუაზიულ ოჯახის შვილია. იგი დაიბადა 1854 წელში ვენაში, სადაც დაამთავრა უნივერსიტეტი და იქვე გამოაქვეყნა პირველი თავისი დიდი შრომა ,,ხალხთა მოსახლეობის'' შესახებ. ამ ხანებში კაუტცკი ჯერ კიდევ შორს არის მარქსისტულ იდეოლოგიისაგან და თავის აზროვნებით კლასიკური შკოლის ეკონომისტების ბურჟუაზიულ შეხედულებათ იზიარებს.

შემდეგ იგი თანდათან იხრება მარცხნივ და წარსული საუკუნის 80 ციან წ. მას ვხვდებით გერმანელ მარქსისტების ხელმძღვანელ წრეებში და მისი რედაქტორობით გამოდის ჟურნალი ,,დი ნეუე ცეიტ''—(,,ახალი დროება''), რომელიც გერმანიის სოც.-დემოკრატიის ცენტრად იქცევა; მიუხედავად ამისა კაუტცკის ჟურნალში მაინც მონაწილეობენ ისეთი ეკონომისტებიც, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო სოც.-დემოკრატ. მოძღვრებასთან.

კარლო კაუცკი აქვეყნებს თავის ნაშრომის მთელ რიგს და მოკლე ხანში თავისი წიგნებით და ბროშურებით ავსებს გერმანიის წიგნების ბაზარს 18992 წელში გამოდის მისი ,,ერფურტის'' პროგრამა, რომელიც დედამიწის თითქმის ყველა ენაზე ითარგმება და კაუტცკი კარლო მარქსის ტახტს იპყრობს მარქსიზმის სამეფოში.

მსოფლიო ომის დაწყებამდე, კარლო კაუცკის აზროვნება თანდათანობათ დაიხარა მარცხნივ და ამ დამჯდარ მეცნიერს, რომელსაც ,,პარტიულ პროფესორს'' ეძახდენ, დიდი ხნის განმავლობაში ხელთ ეპყრა რევოლიუციონურ სოციალიზმის დროშა, სასტიკი წინააღმდეგი იყო ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობისა, შეურიგებელი მებრძოლი რევიზიონიზმისა, იგი ქვეყნიერებას უხმობდა პროლეტარულ რევოლიუციისკენ.

დღეს ეს კაუცკი აღარ არის—მსოფლიო ომმა რომელმაც ძირიანი გადაფასება მოახდინა ყველა ღირებულებათა დიდი რევოლიუცია მოახდინა კარლო კაუცკის აზროვნებაში—ინტერნაციონალისტის შეგნებაში შეიჭრა გერმანელი პატრიოტი, შეურიგებელი სოციალისტი. ბურჟუაზიის განადგურებისაკენ უხმობდა თავის საწყმსოს, როდესაც ამ პროლეტარული რევოლიუციის შედეგები დაინახა რუსეთში, დღეს მის წინააღმდეგ მებრძოლთა მეთაურობა იკისრა და თავის თანამემამულე ამხანაგებს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისაკენ იწვევს ომისაგან დანგრეულ სამშობლოს ეკონომიურ აღორძინებისათვის.

ესეთია კარლო კაუცკი, რომელიც დღეს უკვე შემდეგ სტრიქონებს სწერს: ,,სოციალისტურ'' წყობილებას, რომელიც ნაკლებს აწარმოებს, სჯობს ბურჟუაზიული წყობილება, რომელიც მეტს აწარმოებს.

## ემილ-ვანდერველდე.

უდიდესი წარმომადგენელი ბელგიის სოციალიზმის არის ჩვენი სტუმარი ემილ ვანდერველდე, რომლის ძლიერი სიტყვები გაისმოდა ევროპის ყველა ქვეყნების მუშათა ტრიბუნებზედ და ამავე დროს, ძლიერ ორგანიზაციებში რაზმავდა მისი ქვეყნის მუშათა კლასს.

ემილ ვანდერველდე, როგორც კარლო კაუტცკი ხამდვილი ბურჟუაზიული ოჯახის შვილია და საკუთარი დიდი შეძლების პატრონი. იგი დაიბადა ბელგიაში 1886 წელს, და დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტი, სადაც ომის დაწყების წინ მიწვეულ იქნა პროფესორად, მაგრამ იძულებული შეიქნა პროფესორის მშვიდი სამეცნიერო კათედრა გაეცვალა დიდი პატრიოტის კათედრაზე, რომელიც ბელგიის ხალხს და მის მუშათა კლასს საომო თავდაცვისაკენ მოუწოდებდა.

ემილ ვანდერვალდე მეორე ინტერნაციონალი სათავეში იდგა და თავმჯდომარეობდა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს, რომელსაც დავალებული ჰქონდა ომის საწინააღმდეგო ბძოლა, მაგრამ საკმარისი იყო, ბელგიის საზღვრებზედ მტრის ზარბაზნებს ეგრიალით, რომ ემილ ვანდერვალდეს დაეივიწყებისათვის მიეცა ყველა თავისი წინანდელი მოწოდებანი და ბელგიის მუშათა კლასი მტრის საწინააღმდეგოთ მოესმო.

სოციალისტების ბელადი, მუშათა კლასის ბაირაღდარი. და ინტერნაციონალის ხელმძღვანელობა დაივიწყა ის ბძოლის მეთოდები ბურჟუაზიასთან რომელსაც იგი აწარმოებდა და როგორც პატრიოტი შევიდა მეტის ალბერტის კაბინეტში და მხარში ამოუდგა მას სამშობლოს თავდაცვის საქმეებში. ეს კიდევ ცოტაა — ემილ ვანდერვალდე აღშფოთებაში მოვიდა, როდესაც სხვა ქვეყნების სოციალისტები ამ დროს ომის წინააღმდეგ ილაშქრებდენ და მან, გაიგო რა კარლო ჩხეიძის და მისი ამხანაგების ომის საწინააღმდეგო შეხედულება, დეპეშებით მომართა მათს, რათა რუსეთის სოციალისტებს მხარი დაეჭირათ თავის მთავრობისათვის რუსეთის თავდაცვის საქმეებში;

ემილ ვანდერვალდე დღესაც არ გამოსულა მეფე ალბერტის მთავრობისაგან იგი გრძნობს, რომ ომის შემდეგ ბელგიას დიდი მუშაობა სჭირდება ზარალის ასანაზღაურებლად და ეკონომიური აღორძინებისათვის—ემილ ვანდერ ვალდემ იცის, რომ ამ საქმის შესრულება პროლეტარიატს არ ძალუძს და მხარს უჭერს ბურჟუაზიულ მთავრობას.

ასეთია ევროპიული სოციალიზმის ერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანი, რომელიც სოციალისტის შეგნებასთან ერთად, გულში ატარებს დიდ პატრიოტულ ცეცხლს.

—

კაუტცკი და ვანდერველდისთან ერთად, საქართველოს ესტუმრენ პიერ რენოდელი, თომას შოუ, და სხვანი.

ისევე როგორც მათი გერმანელი და და ბელგიელი ამხანაგები არც ესენი არღვევენ იდიურ ერთიანობას მათთან და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მამათი მოსვლა და გაცნობა დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენ ქვეყანას და იმ პარტიას, რომელიც მათს მოძღვრებას მისდევს, მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობაში ხშირად შორდება მას.

## სურსათი

**მარილი.** სასურსათო განყოფილებამ შეიძინა 40 ვაგონი თეთრი ევპატორიის მარილი. ამის გარდა ცენტრო-ბანკმა მიიღო ცნობა, რომ ფოთში დიდძალი მარილი მოვიდაო.

**ხორბლეულობის დამზადება:** ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მომარაგების სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავა ბორჩალოს მაზრაში ხორბლეულობის ყიდვის დამატებითი პირობები. მომარაგების სამინისტროს მიერ შეძენილი ხორბალი ისიც კი, რომელიც თბილისში გადმოგზავნეს, უნდა გადაეცეს ქალაქის სასურსათო განყოფილებას შემდეგი პირობით: მომარაგების სამინისტროს მიერ ბორჩალოში გაიგზავნება შეძენილი ხორბალი ქალაქის სასურსათო განყოფილების სახელზე, ხოლო დუბლიკატი გაეგზავნება მომარაგების სამინისტროს. ხორბლეულობის შესაძენ ოპერაციებისათვის ქალაქის სასურსათო განყოფილებას მომარაგების სამინისტროში მათ შეაქვს 10 მილიონი მანეთი. მუშაობის გასაადვილებლად განყოფილებია შეუდგა გაგზავნოს გლეხებისათვის საჭირო საქონელი ხორბალზედ გადასაცვლელად.

## სასამართლოში.

**პროკურორის განცხადება** სპეკულიანტებზე იმ პირების საყურადღებოთ, რომელნიც დაინტერესებულნი არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედით იმ პირთ შესახებ, რომელნიც არიან დაპატიმრებულნი როგორც ბანკის კანტორების მფლობელნი და ბრალი მდებათ სპეკულიაციაში და საქონლის გადამალვაში, ვსთვლი საჭიროდ განვაცხადო, რომ ამ საქმის კვლევა-ძიებაზე თვალყურს ვადევნებ პირადათ მე.

ამისათვის ყოველივე შუამდგომლობა ნათესავებისა, ვექილებისა და გავლენიან პირებისა საქმეს სარგებლობის მაგიერ მიუტანს ზიანს.

ამის გამო გთხოვთ არავითარ შუამდგომლობით ნუ მომართამთ ნურც მე და ნურც განსაკუთრებულ რაზმის მოხელეებს.

## მილიციაში.

ქურდობა. 19 თებერვლის ქუჩაზე მე-8 უბნის მილიციონერების მიერ შეპყრობილ იქმენ ორი „გვარდიელ“ რომელთაც ეტლით მიქონდათ ორი ტომარა გაკეთებული პაპიროზი. გამოძიების შემდეგ გამოირკვა რომ პაპიროზები მოეპარათ ვაჭარ ბეგლარიანცისთვის და ქურდები აღმოჩნდენ ივანე სალუქვაძე და არჩილ ვლადიმირ ისმალაშვილი, რომლებმაც გასცეს მესამე ამხანაგიც მიხეილ კარგარეთელი. სამივე გადაეცა სასამართლოს.

— მერვე უბნის კომისარ ს. ბოლქვაძეს გამოუცხადა გერამ კუშიანცმა, რომ ის ღამით გაქურდეს და წაიღეს სხვა და სხვა ნივთები 300.000 მანეთ. საღირალი. სათანადო ზომების მიღების შემდეგ შეპყრობილნი ბოროტმოქმედი გიორგი სოლომონის ძე მელაშვილი და პავლე შავიშვილი გამოტყდენ და ნივთები პატრონს დაუბრუნეს.

## ქუთაისი

(შემთხვევითი)

პედაგოგიური ასპარეზზე დაუღალავათ მოღვაწის მიხეილ ზაალიშვილის უდროვოთდ გარდაცვალებას ღრმად ვსწუხვართ. სამშობლომ დაკარგა იშვიათი აღმზრდელი და ფრიად ნაყოფიერი ავტორი, რომლის კალამმა საჭირო დროს ხელი შეუწყო ჩვენს შკოლის გაერთვნებას მთ ვრიშვილის ამხანაგობის გამომცემლობა.

## გროზნისა და ბაქოს სამრეწველოების ბედი.

ყირიმულ გაზეთებს მოჰყავთ ცნობა „დეილ ტელეგრაფისა“, რომ მარიამობისთვის პირველ რიცხვებში ხელმოწერილ იქმნა პირველი წასყიდობის სიგელი, რომლის ძალითაც ზოგი ნავთის სამრეწველოები გადაყიდნენ ინგლისურ ფირმის „შელის“ ხელში, რომელიც მეორე ფირმაა ამერიკის ფირმის „სანდარტ ოილ კომპანიის“ შემდეგ.

შელმა შეიძინა მანთაშევის, ლიაზანოვის და 40 პროც. ცატუროვისა. ეს უკანასკნელი ფირმები გროზნის მხარეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

პირობის ხელის მოწერის დროს ხელმოწერილი იქმნა 1.195.000 გირვანქა სტერლინგის ჩეკი და გადაეცა პირველ მესაკუთრეს, როგორც პირველი განაღდება. დეილ ტელ. სიხარულით აღნიშნავს ამ ამბავს მით უმეტეს, დასძენს რომ ამერიკული ფირმა ოილი ამ დღეებში შეიძენს ნობელის მთელ წარმოებას ბაქოში.

ყირიმულ გაზეთებშივეა ცნობანი სტამბოლიდან. რომ იქაურ გაზეთებში დაბეჭდილია წასყიდობის სიგელის მთელი ტექსტი. საფრანგეთის და ინგლისის მთავრობის მიერ ხელ მოწერილი რუსეთის შესახებ სწერია.

„ორთავე მთავრობა ხელს შეუწყობს თავის ქვეშევრდომთ შეიძინონ საწარმო ადგილები რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზედ და ყოველ ღონეს იხმარებს გაუადვილოს ექსპორტი ნავთისაო“.

## მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება

ცირკულიარული

მინისტრებს მათ ამხანაგებს, ერობათა და ქალაქთა გამგეობებს და მათი კავშირების კომიტეტებს და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

მრავალმა საჩივრებმა და პირადმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში საქმის წარმოება ვერ მიმდინარეობს სასურველი სისწრაფით და წესებით. საქმის წარმოების გასაუმჯობესებლად და ხარჯების შესამცირებლად ვბრძანებ:

1) სახელმწიფო, საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ერობებისა და ქალაქების თვითმართველობებში მინიმუმამდე შემცირდეს მოსამსახურეთა შტატები.

შენიშვნა: დღიდან ამ ცირკულიარის გამოქვეყნებისა ქალაქთა და ერობათა თვითმართველობათ შტატების შესამცირებლად ეძლევათ ერთი თვის ვადა, რის შემდეგ, თუ ჩემი ბრძანება ამ ხნის განმავლობაში სისრულეში არ იქნა მოყვანილი, შტატების შემცირებას მოახდენს ამ საქმისათვის ჩემ მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომისია.

2) უწყებათა უფროსებმა მიიღონ ზომები, რათა მათდამი რწმუნებულ დაწესებულებათა მოსამსახურენი თავის დროზე ცხადდებოდენ სამსახურში.

3) მიღებულ იქნას ზომები მინისტრების, მათი ამხანაგების და უწყებათა სხვა უფროსების მთხოვნელთა მიერ ნახვის გასაადვილებლად.

4) ყოველგვარი შუამდგომლობა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისა ან კერძო პირისათვის დროზე იქნას განხილული და პასუხი დაუგვიანებლივ მიცემული.

5) ჩემს მომართვებზე ან ბრძანებებზე პასუხი მომეცეს დაუყონებლივ.

6) სასტიკად აიკრძალოს ერთი თანამდებობიდან რაიმე დანაშაულობისათვის დათხოვნილ პირის მეორე თანამდებობაზე მიღება.

7) ქალაქებისა და ერობების თვითმართველობათა მიერ არ იქნას დაწყებული არავითარი ახალი საწარმოო საქმე ჩემს ნება დაურთველად

13 სექტემბერი, 1920 წ., №20.

მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

მთავრობის საქმეთა მმართველი

კ. ჯაფარიძე.

## მომავალი სამთო-სატეხნიკო კურსები.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ძარღვია რაზედაც უნდა აშენდეს ჩვენი სახელმწიფო; ჩვენი ეკონომიური ვითარება ისეთი სუსტად სცემს რომ შეუძლებელია კატასტროფა თავს არ დაგვატყდეს.

ჩვენი მადნეულობა და აურიცხელი დოვლათი ჩვენგან მოითხოვს დამუშავებას გადატრიალებას, რითაც მივაღწევთ ვაჭრობა-მრეწველობის ფართოდ დაყენებას, მოითხოვს ნათელ ხელს და მომზადებულ პირთ არა მარტო სამთო ინჟინერთა ძალებს, არამედ ახალგაზდა ძალებსაც ტეხნიკოსების სახით. მადნეულობას სჭირია აზიზი მოვლა-პატრონობა, მას სჭირია გაცოცხლება და დამუშავება, უფრო სასარგებლო და უფრო სწორი ნაბიჯების გადადგმა, ვიდრე ეხლა ჩვენში სუფევს, რადგანაც მასზე უნდა აშენდეს ჩვენი ვალიუტა და არა უცხოელების სიმტკიცეზე და ინგლისელების სტერლინგზე.

ჩვენი მადნეულობა დამუშავებული იქნება ბარომეტრი ჩვენი ვალიუტისა და მანეთის ფულის კურსის ამწევ-დამწევი, ფულის ტრიალისა და წასვლა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის ბედიღბლიანი გზის გამკაფავი.

აი როდესაც დავადგებით ბურჟუაზიულ დემოკრატიულ გზას, მაშინ უფრო მტკიცე იქნება ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. როდესაც ალორძინდება წარმოება კერძო ინიციატივის სახით, როდესაც უცხო კაპიტალს ჩვენში ალაგი არ ექნება, როდესაც გაჩაღდება ჩვენშივე ფაბრიკები, ქარხნები და დიდი ტეხნიკური საშუალებანი, მაშინ დადგება ის სანეტარო დრო, რომლისკენაც ყველა შეგნებულის აზრი გონება მილტვის, მისწრაფვის; მაგრამ ყოველ ფაბრიკისთვის ქარხნისათვის, მადნეულობის გათვითცნობებისათვის საჭიროა კარგი მცოდნე პირი. სამთო—ინჟინერთა მკვლევართა გარდა საჭიროა მომზადებული ახალგაზრდა ტეხნიკები. აი სწორედ ამ მიზნისათვის სამთო-მადნო სამმართველოს უფროსის მიერ გადადგმულია მშვენიერი და მიზანშეწონილი ნაბიჯი. მან დაისახა მიზნათ შექმნას კადრი ჯერ პირველ საფეხურის სამთო-ტეხნიკოსები, რომელთაც შეეძლებათ 1) გეგმების აღება სამადნო სარეწავების, მაღაროებისა, გამომუშავებულ მადნისა თუ სამადნო ქარხნებისა 2) ყურის გდება, რათა სარეწავები ასრულებდნენ სამთო მადნო სამართველოს მიერ მიღებულ და დამტკიცებულ პროექტებს და გეგმებსა 3) მეთვალყურეობა, რათა ტეხნიკური მუშაობა სამადნო სარეწავზედ, როგორც ზედაპირზედ აგრეთვე მიწის ქვეშ მაღაროებში იმდენად ტეხნიკურათ სწორედ სწარმოებდეს, რომ ამით თავიდან ავიცდეთ უბედური შემთხვევები მუშების დასახიჩრების სახით და კატასტროფები თვით მაღაროებისათვის 4) აღრიცხვა გამომუშავებულ მადნეულობისა და სამადნო გადასახადისა და სხვა.

გეოლოგიურ კვლევის და ზვერვის დროს საშუალო ტეხნიკები დაეხმარებიან სამთო-ინჟინერებს უკეთ ტეხნიკური მინდობილობის შესრულებით, ამ გვარად ჩვენი ახალგაზრდობა გაეცნობა ჩვენი მადნეულობის მოვლა პატრონობას, კვლევა ძიებას და სხ. აი სწორედ ამ მიზნისთვის ბ. ნ. ყიფშიძის თანხმობით არსდება სამთო მადნო სამმართველოსთან ერთწლიური სამთო-ტეხნიკო (თეორიტიულ პრაქტიკული) კურსები. უკვე შემუშავებულია პროგრამა. ამ კურსებზე შეუძლიან შესვლა დაბალ საფეხურის სასწავლებლის გათავებულთ და აგრეთვე გიმნაზიის 4 კლასის კურს დამთავრებულთ ლექტორებათ იქნებიან სამთო ინჟინრები, სწავლის ფასი კურსისტებს არ ხდებათ, კურსის დამთავრებისას კურსისტებს ეძლევა მოწმობა (ატესტატი) და უფლება პასუხ-საგები სამთო-მადნო მუშაობის წარმოებისა და შტეიგერების თანამშწვისა ხოლო კურს დამთავრებულათ 2 წლის სამადნო მუშაობის შემდეგ უფლება ეძლევათ დაიჭირონ გამოცდები შტეიგერის ხარისხზედ. მეცადინეობა დაიწყება ღვინობისთვის დასაწყისში.

როგორც ჰხედავს მკითხველი, ამისთანა კეთილი ინიციატივა ღირსშესანიშნავი და ყურსაგდებია. ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენს ახალგაზრდობაში იგი მხურვალე გამოძახილს მოიპოვებს, ვინაიდან ახალგაზრდობაა ჩვენი ქვეყნის იმედი და ამ იმედს სამშობლოს დოვლათიან აღყვავების მხოლოდ მაშინ ვეღირსებით, თუ ბლომად გვეყოლებიან ჩვენი ქვეყნის დაფარულ სიმდიდრის მცოდნენი და მისი ამომღებნი...

იოსებ ყიფიანი.

## „ნორ აშხატავორ“-ის საპასუხოდ.

ამ ბოლო დროს ადგილობრივ სომხურ პრესაში ხშირად იბეჭდება წერილები იმ საკითხის გამო, რომელიც ეხება საქართველოში მცხოვრებ სომხეთა კულტურულ მოთხოვნილებებს საერთოდ და განსაკუთრებით სწავლა-აღზრდის საქმეს.

წერილები საქართველოს მთავრობისადმი ისეთის არაკეთილგანწყობილებისა, უნდობლობის და ხშირად პირდაპირ მტრულ კილოთ იწერება, რომ საქმეში ჩაუხედავი საზოგადოება და ხალხი მართლაც იფიქრებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ულ რსად ეპყრობა სომხეთა ინტერესებს, ავიწროებს მას, აბუჩად იგდებს და ფეხქვეშ სთელავს მათ კულტურულ მოთხოვნილებებს.

მაგალითად, ნათქვამია, რომ „საქართველოს ფარგლებში მცხოვრებ სომხეთა მთელს კულტურულ—განმანათლებელს საქმეს აწარმოებს მხოლოდ სომხური ეროვნული საბჭო.. (ხაზი ყველგან ჩვენია)... ამის გასაძღოლად საბჭოს არა აქვს არავითარი წყარო, გარდა ამისათვის შემოღებული სპეციალური გადასახადებისა: თავის თავად ცხადია, რომ ამ გზით საქმის წარმოება დიდხანს შეუძლებელია და უსამართლო: სომეხი მოქალაქე იძულებულია განათლების საქმისათვის გაიღოს ორნაირი გადასახადი ერთი მთავრობისა და მეორე ეროვნული საბჭოს სასარგებლოდ“. (იხ. 31 აგვისტ. გაზ. „სლოვოს“ 197 №—ში დაბეჭდილი წერილი „ნორ აშხატავორი“—დან). შემდეგ იქვე: „მთავრობის არაკეთილმეგობრული განწყობილება საქართველოს სომხების კულტურულ მოთხოვნილებათა მიმართ უფრო ცხადია, ვიდრე მრავალი სიკეთის აღმთქმელი წერილები ქართული პრესისა... სომხის მშრომელი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება იმ გარემოებას, რომ ასეთის არა საკადრისი საშუალებით უმასპინძლდებიან და უყურადღებოდ სტოვებენ მის კულტურულ-ნაციონალურ უფლებებს... ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ მთავრობამ გარკვეულად სთქვას—გამოდის იგი სომხური სკოლების დამცველად, თუ ექნება მასთან აშკარა მტრული განწყობილება“.

ცხადია, ასეთი წერილების შემდეგ, სინამდვილის ასადგენად და ყოვლად უსამართლო და უსაფუძვლო ბრალდება-საყვედურების თავიდან ასაცილებლად, შეუძლებელია გაჩუმება და ტენდენციურად გაშუქებული საკითხის უყურადღებოდ დატოვება.

რაშია საქმე. 1. „საქართველოს თაიგულეში მცხოვრებ სომეხთა მთელ კულტურულ-განმანათლებელ საქმეს მხოლოდ სომხური ეროვნული საბჭო აწარმოებს, ბრძანებს „ნორ აშხატავორი“. მაგრამ ეს პატეთიური განცხადება სიმართლეს არ შეეფერება. სომხურ ეროვნული საბჭოს სხვაგვარ კულტურულ ღონისძიებას რომ თავი დავანებოთ, რაც, რამდენადაც ცნობილია, დიდსა და მართლა ფართო, ნაყოფიერ კულტურულს მუშაობაში არ გამოიხატება, უნდა აღინიშნოს რომ საზოგადო სწავლა-აღზრდისა და კერძოდ კი წმინდა სასკოლო განათლების საქმეში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. უმთავრესი ხარჯი და მზრუნველობა ამ საქმეში თვით სახელმწიფოს აქვს ნაკისრი, რისთვისაც მას, უმაღლეს დაწყებითსა და საშუალო სასწავლებელთა გარდა, 64 დაწყებითი სკოლა აქვს ოთხგანყოფილებიანი 4 წლის კურსით. ამ სკოლებში სწავლება სწარმოებს მშობლიურს სომხურს ენაზე ხომ ეს მასწავლებელთა საშუალებით და სომეხ სახალხო სკოლათა მთავრობის ინსპექტორის ხელმძღვანელობით. ეს რიცხვი გადიდებული იქნება საერთოდ რესპუბლიკაში და კერძოდ მესხეთ-ჯავახეთში (ახალციხე-ახალქალაქის მაზრა) ახალი სომხური სკოლების გახსნით და ძველის აღდგენით. გარდა ამისა საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლების განხორციელებაც მხოლოდ მეორე წლიწადია რაც დაიწყო და განზრახულია მისი დასრულება 1923-1924 წლისათვის. ცხადია, აქ სომხური ხალხისა და მოზარდი ახალგაზრდობის ინტერესების სრული უზრუნველყოფა არის ნაგულისხმევი.

თვით სომხურ ეროვნულ საბჭოს კი საქართველოს ტერიტორიაზე აქვს მხოლოდ 49—51 სკოლა. ამავე დროს ეს სკოლები უმეტესად ძლიერ საეჭვო ხასიათისა და მიმართულებისანი არიან. საქმე ის არის რომ, სამინისტროს ცნობების მიხედვით, რომელთა შეკრებაც მან, სამწუხაროდ, მხოლოდ ამ ბოლო დროს მოახერხა, სომხური ეროვნული საბჭოს სკოლები უმთავრესად წარმოადგენს ძველს სომხურ სამრევლო სკოლებს, რომელთა ტიპი და სასწავლო გეგმა საერთოდ მიუღებლად უნდა ჩაითვალოს დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის. აღვნიშნავთ, მაგალითად ერთს მეტად მნიშვნელოვანს გარემოებას:

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და პარლამენტმა 1918 წ. 13 დეკემბერს გამოსცა სკოლების შესახებ განსაკუთრებული კანონი, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის ყველა სკოლებში გაუქმებულია სამღვთო სჯულის სწავლება. სომხურ სახალხო სკოლებში კი სამღვთო სჯული გასული სასწავლო წლის განმავლობაშიაც ისწავლებოდა, რაზედაც არა ერთხელ მიუთითა ბრალა მინისტროს წარმომადგენელს სომხური ეროვნული საბჭოსათვის. ზემოდ აღნიშნული ფაქტი ამტკიცებს იმას, რომ მიმართულება სომხ. სახალხო სკოლებში არ შეცვლილა.

აი ასეთი სკოლებისათვის აქვს სომხ. ეროვნულ საბჭოს განსაკუთრებული „სპეციალური გადასახადი დაწესებული“ და მისივე სიტყვით რომ ვსთქვათ, ამ გზით საქმის წარმოება დიდ ხანს მართლაც შეუძლებელია და უსამართლო. რად აიძულებს საბჭო საქართველოს სომეხ მოქალაქეთ გაიღონ ასეთი „განათლების საქმისათვის“ შეუზომელი, ორმაგი გადასახადი. რესპუბლიკა თანაბრად ზრუნავს როგორც ქართული, ისე სომხური და სხვა ყველა ეროვნებათა სკოლებისათვის. და თუ სომხური ეროვნული საბჭო კისრულობს ამ მხრივ სიმპატიური თანამშრომლის როლს, ის ღირსია მხოლოდ წახალისების, ქებისა და დახმარების. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი თანამშრომლის როლში ყოველთვის ვერ ჰხედავს მას განათლების სამინისტრო. ეს სხვა რომ არა იყოს რა, იმ დამოკიდებულებიდან სჩანს, რომელიც გამოიხატება სასკოლო კანონებისადმი მათს მოპყრობაში და იმ წერილების კილოსა და შინაარსში, რომელსაც ათავსებენ თავიანთ გაზეთებში.

მთავრობა საბჭოს სკოლების დეფიციტების დასაფარავად სუბსიდიებზე უარს ეუბნება, ბრძანებს „აშხატავორი“.

ამ სუბსიდიების შესახებ ორი შუამდგომლობა იყო აღძრული: ერთი ამ წლის 9 ივლისიდან, სადაც საბჭო ორი მილიონი მანეთის დახმარებას თხოულობდა, ხოლო მეორე შემოსულია სამინისტროში გასული თვის 16 აგვისტოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით. ამ შუამდგომლობაში აღნიშნულია მომავალი ე. ი მიმდინარე სასწავლო წლისათვის საჭირო თანხა—14. 798 300 მან., საიდანაც საბჭო კისრულობს მხოლოდ 6 მილიონ მანეთს, დანარჩენს 8. 798.300 მანეთს კი ითხოვს განათლების სამინისტროსაგან.

ცხადია, ასეთი თანხის გაღება, ისიც სასწავლო წლის ბოლოს და ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისში, როცა ახალი წლის ხარჯთაღრიცხვა უკვე დიდი ხნის დასრულებული იყო, მთავრობაში გატარებული და ნაწილობრივ საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული, სამინისტროს არ შეეძლო.

თუ როგორ ეპყრობა განათლების სამინისტრო სომხურ ეროვნული საბჭოების ასეთ შუამდგომლობას ამის საილუსტრაციოთ მოვიყვანთ შემდეგს:

მიმდინარე წლის მარტში აფხაზეთის სომხურმა ეროვნულმა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე იქაური იმ 27 სომხური სკოლის სახაზინო ხარჯზე მიღების შესახებ, რომელნიც მანამდე, როგორც საბჭოსა და საზოგადოებათა მიერ ახლად გახსნილი და ამატომ სამინისტროს ცნობების გარეშე დარჩენილნი, არ იყვნენ შეტანილი რესპუბლიკის სკოლათა სიაში.

ამ დროს სამინისტროში მუშავდებოდა მომავალი (ე. ი. ახლანდელი) საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვა და ეს სომხური სკოლებიც იქმნა შეტანილი სახაზინო სკოლათა სიაში. რასაკვირველია, სახელმწიფო ხარჯზე სკოლების მიღება ჰგულისხმობს, რომ დაცული იქმნას სასკოლო კანონები და არ მიეცემა ამ სკოლებს ისეთი უარყოფითი ხასიათი და მიმართულება, რომელიც ზევით იყო აღნიშნული.

ასეთია ამ სუბსიდიების და სომხური სკოლებზე მოვლა-შენახვის საქმის ნამდვილი ვითარება და ცხადია, მიუდგომელი მკითხველი და ფართო საზოგადოება ეჭვსაც ვერ შეიტანს მთავრობის და სამინისტროს მოქმედებაში.

დაბალ სკოლათა მთავარგამგე გ. ჭუმბურიძე

## რკინის გზათა აშენებლობა.

გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორმა ჭიჭინაძემ შეიტანა მოხსენება რკინის გზის აღმშენებლობის გეგმის შესახებ. მოხსენებაში ჭიჭინაძე აღნიშნავს შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის ხაზის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამ რკინის გზის გასაყვანი ნახევარი მუშაობა უკვე შესრულებულია. ამ გზის უმთავრესი დანიშნულება სპარსეთსა და შუაგულ ევროპის შორის არსებული გზის შემოკლება არის. შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის პროექტით ქერჩის სრუტეში რკინის ხიდის გაკეთება იყო განზრახული. ამ გზას ასეთი მიმართულება უნდა ექნეს: ახალსენაკი, ზუგდიდი, სოხუმი, გუდაუთი, გაგრი, სოჭა, ტუაპსე. ეს მიმართულება ძალიან ამოკლებს ამიერ-კავკასიის და განსაკუთრებით დასავლეთ და რუსეთის შორის არსებულ გზას. ამ გზით გადატანილი იქნება დიდძალი საქონელი თუმცა მას შეეცილება, კავკავ—თბილისის საელექტრო რკინის გზა, ვინაიდან უკანასკნელი გზა გაივლის აღმოსავლეთ საქართველოსა, სომხეთისა და სპარსეთის ტერიტორიაზე. შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა ამ გზასთან ხაშურში გადაინასკვება. ამ გზის გაყვანას საქართველოსთვის უაღრესი მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს მეურნეობის გაუმჯობესებას, მრეწველობის აყვავებას და მადნეულობის დამუშავებას. შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის რაიონი [illegible] არის დასახლებული [illegible] ერთ კვადრატ ვერსზე 7 მცხოვრები მოდის, სოხუმის ოლქში 23, ზუგდიდის მაზრაში 55, სენაკის მაზრაში 74. მომხსენებელი აღნიშნავს: მთავრობა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ყოველ ღონისძიებას ღებულობს ზემოდ აღნიშნულ გზის გასაყვანადო. დიდი მეცადინეობით იქნა რკინის გზის მოძრაობა დაწყებული ხეთამდი, და ახლა ზომები მიღებული ამ გზის ზუგდიდამდი გაგრძელებისათვისაც. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს საელექტრო გზის მნიშვნელობას. ამ გზის პროექტი დამფუძნებელ კრებას გადაეცა განსახილველად. განზრახულია მამისონის უღელტეხილით მეორე საელექტრო რკინის გზის გაყვანა. ეს რკინის გზა შავ ზღვას თერგის ოლქთან შეაერთებს.

გზა დაიწყება კოპიტნარიდან და გაივლის ქუთაისზე. საქართველოს ტერიტორიაზე გასავლელი ამ გზის მიმართულება უკვე გამოკვლეულია. აგრეთვე ბორჯომ-ყარსის რკინის გზის გაყვანა, 210 ვერსის სივრცეზე, ბათომ-ყარსის 348 ვერ. ბათომ—ტრაპეზუნდის საქართველოს ტერიტორიაზე 45 ვერ. განზრახულია აგრეთვე შემდეგი შტოების გაყვანა. შუა კავკასის რკინის გზა წნორის წყლიდან, ბაქოს მიმართულებით, გორი—ცხინვალის, გორი—ვომის, ნატანებ—ოზურგეთის, ოზურგეთ—ნაგომარ—ჩოხატაურ—საჯევახოს, აჯამეთ—ბაღდადის, ოჩემჩირ ტყვარჩელის, ხონი—ქუთაისის, ხონი—სამტრედიის და სხვათა.

# ჩვენი კორესპონდენცები

## ს. ჯვარი.

(ზუგდიდის მაზრა)

სამეგრელოში ამბობენ, „ვისაც სიმინდი აქვს, იმას ყოველისფერი აქვსო.“ და მართლაც, ვისაც საკმაო სიმინდი აქვს, თითონაც და მთელნი ოჯახობაც გამძღარი ჰყავს: აცვიათ, ახურავთ, საქონელი და წვრილ-ფეხობა გასუქებულია, ხარჯი და ვალები გარდახდილია. მაგრამ უბედურობაა, როცა სიმინდის ნაკლებობაა. და ამ უბედურობასა აქვს ადგილი მთის ძირას მდებარე სამეგრელოს სოფლებში. აპრილისთვემდინ ეყო მცხოვრებთა უმეტესობას შარშანდელი მოსავალი. იქიდან დაწყებული კი ხალხი შეუდგა სიმინდის ძებნას. შეძლებულმა მეზობლებმა სიმიდი გადამალეს საწამ მისმა ფასმა არ აიწია 1200 1500 მანეთამდი ფუთზე და წამალევად იწყეს გაყიდვა ამ ფასებში; უმეტესობამ კი მიაშურა აფხაზეთს და იქ ყიდულობდა უფრო ხელ მისაწდომ ფასებში 400—600, მანეთად, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ არ გაუშვა აფხაზეთიდან, ამბობენ, რომ თითონ მათ სჭირდებათ სიმინდი, ასე რომ საწყალ მეგრელებს მთელი კვირის იქ თ აქეთ სიარულმა აფხაზეთში ფუჭად ჩაუარათ. ბევრნი მიდიან სვანეთში, სახელდობრ, ლეჩხუმის ხეობაში, უცვლიან პურში ტანისამოსს და მარილს, მაგრამ გზაში მათ სძარცვავენ და შინ თითქმის შიშველები ბრუნდებიან, ეხლაც ამ სტრიქონების დამწერთან ზის ფუცორია ფიფია, რომელმაც ერთი კვირის წინად წაიღო ამ ხეობაში ორი საბანი, 21 ალაბი ჩითი და პატარა ხალიჩა, უნდოდა გაეცვალა 10 ფუთ პურში, მ გრამ გზაში სვანებმა გაძარცვეს და იმ უბედურმა 3-დღის უჭმელმა, ძლივს, ძლივობით ჩამოაღწია სამეგრელომდინ, მთის ძირას მცხოვრები მეგრელები არსაიდან არ ელიან შველას და ახალ მოსავლამდინ უხდებათ საზრდოობა მწვანილეულობით, ხილით; ზოგიერთები კი აცხობენ მჟაუნით წაბლს. მოხუცებთან და დამჯდარი ხასიათის პირებთან ბაასიდგან ამ დროის ცხოვრების ავან-ჩავანზე დასკვნა ასეთია: ხალხი გამოუთქმელად ჰხარობს, რომ თავი დააღწია უცხოთა ბატონობას, რომ თავისიანები მართვენ მათ საქმეს; მაგრამ ხალხს სურს უფლება ძლიერი და მზრუნველი. ვერ ივიწყებენ მას, რომ უწინდელი მოურავლობის წლებში მთავრობა მათ აძლევდა მარცვალსაც და ფულსაც, ექიმობა იყო მათთვის ხელმისაწდომი, ცუდ კაცებს დანაშაული არ შერჩებოდათ, ეხლა კი, ეხლა... სასურველია, რომ მაღალი რწმენა ხალხს არ დაეკარგოს არც მთავრობისა და არც სამართლიანობისადმი.

სხვათშორის ისაა კიდევ აღსანიშნავი, რომ ზუგდიდის მაზრაში რამდენჯერმე შემთხვევა იყო ყაჩაღთა თავდასხმისა და ძარცვა გლეხებისა. ეხლა ხეოსა და ზუგდიდს შუა მგზავრებს თან ახლავთ მილიციონერები. ჩვენი ჯვარის რაიონი კი შედარებით წყნარათაა და კარგადაა შენახული, რასაც აწერენ აღგილობრივ რაიონის კომისარს, ნესტორ შანიძის ენერგიულ მუშაობას...

ოთარიანთ ჯანსაღი


**სამკურნალო**

ელექტრონის რენტგენის და სინათლის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყოროლანოვის ქ., 20, ვერაზე. 3102. თვ.



სარედაქციო კოლეგია.

მთავარი რედაქტორი: ხჰ. კედია.



**წლიური კრება**

ქართული **სამუსიკო** საზ-ბისა

დანიშნულია 19 სექტემბერს დილის 10 საათზე, პეტრე დიდის ქ. № 8.

თუ ქორუმი არ შესდგა, ერთ საათის შემდეგ კრება ჩაითვლება კანონიერად.

2—23—1.

**საჭიროა**

**მოსამსახურე ქალი.**

მოიკითხეთ „საქართველოს“ კანტორაში. 4—7—



ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან